ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვა

საშემოსავლო ნაწილი

(ათას ლარებში)

შემოსულობები შესრულებულია 79%-ით. გეგმიური 15972,8 ათ. ლარი, შემოსულია 12607,1 ათ.ლარი.

მათ შორის:

1. **შემოსავლები** შესრულებულია 76 %-ით. გეგმიური 14135,4 ათ. ლარი, შემოსულია 10825,7 ათ.ლარი. აქედან:

გადასახადები შესრულებულია 87 % -ით. გეგმიური 7084,3 ათ. ლარი, შემოსულია 6192,0 ათ.ლარი.

მათ შორის:

- ✓ გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე შესრულებულია 76 %. გეგმიური 7084,3 ათ.ლარი, შემოსავალი არის 5398,0 ათ ლარი. (დამატებითი ღირებულების გადასახადი).

გრანტი ცენტრალური ბიუჯეტიდან შესრულებულია 64 %-ით. გეგმიური 6629,1 ათ. ლარიდან, ათვისებულია 4259,9 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 422,0 ათ. ლარი, შემოსულია 373,8 ათ. ლარი. მათ შორის:

- ✓ **შემოსავლები საკუთრებიდან** შესრულებულია 68 %-ით. ნაცვლად გეგმიური 225,0 ათ. ლარისა, შემოსულია 153,6 ათ. ლარი. მათ შორის:
  - ➢ პროცენტები შემოსულია 51,9 ათ. ლარი;
  - ➢ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 92,6 ათ, ლარი;
  - ➢ შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურქრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსულია 9,1 ათ, ლარი;

- ✓ შემოსავლები **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** შესრულებულია 192 %-ით. ნაცვლად გეგმიური 62,0 ათ. ლარისა, შემოსულია 119,2 ათ. ლარი. მათ შორის:
  - ➢ ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადელები (სანებართვო, დასუფთავება) შემოსულია 100,0 ათ. ლარი;
  - ➢ არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები (იჯარა, ქირავნობა) შემოსულია 19,1 ათ. ლარი;
- ✓ **სანქციები, ჯარიმები და საურავები** შესრულებულია 48 %-ით. გეგმიური 120,0 ათ. ლარისა, შემოსულია 58,3 ათ. ლარი. მათ შორის:
  - ➢ „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში“ შემოსულია 1,0 ლარი;
  - ➢ „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო“ შემოსულია 48,5 ათ. ლარი;

- „სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევეის გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის დარგში“ შემოსულია 2,7 ათ. ლარი;
- „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო“ შემოსულია 3,0 ათ. ლარი;
- „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო“ შემოსულია 1,1 ათ. ლარი;
- შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შემოსულია 2,0 ათ. ლარი.

✓ **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** შემოსულია 42,7 ათ. ლარი.

- „შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან“ შემოსულია 36,3 ათ. ლარი;
- „წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები“ შესრულებულია 4,4 ათ. ლარი;
- „სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ შემოსულია 2,0 ათ. ლარი.

2. **არაფინანსური აქტივების კლება** შესრულებულია 97 %-ით. ნაცვლად გეგმიური 1837,4 ათ. ლარისა, შემოსულია 1781,3 ათ. ლარი.
   - „შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სხვა მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან“ შემოსულია 116,2 ათ. ლარი;
   - „შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან“ შემოსულია 28,7 ათ. ლარი;
   - “შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე” შემოსულია 73,6 ათ. ლარი;
   - „შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან“ შემოსულია 1307,0 ათ. ლარი;
   - „შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე“ შემოსულია 255,7 ათ. ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 77%-ით. გეგმა 17 861.4 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 13 831.2 ათ.ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 88 %-ით. გეგმიური 8246,6 ათ.ლარი, შესრულება შეადგენს 7272,4 ათ.ლარს.

მათ შორის:

დასახელება	გეგმა	ხარჯი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	1815,0	1757,8	97
საქონელი და მომსახურება	1646,2	1355,2	82
პროცენტი	52,0	11,9	23
სუბსიდია	3958,7	3563,7	90
სოციალური უზრუნველყოფა	505,0	381,8	76
სხვა ხარჯები	269,7	201,8	75
არაფინანსური აქტივების ზრდა	9554,8	6504,9	68
ვალდებულების კლება	60,0	53,9	90

პრიორიტეტი - 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

სულ შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 3203,9 ათ.ლარი, ათვისებულია 2950,1 ათ. ლარი.

პროგრამები:

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა

სულ შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 3083,4 ათ.ლარი, ათვისებულია 2884,3 ათ. ლარი.

მათ შორის:

- **01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო**

სულ შესრულებულია 91%-ით . გეგმიური 613,5 ათ.ლარი, ათვისებულია 560,2 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 92%-ით . გეგმიური 603,5 ათ.ლარი, ათვისებულია 553,0 ათ. ლარი.

- **01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია**

სულ შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 2469,9 ათ.ლარი, ათვისებულია 2324,1 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 94 %–ით. გეგმიური 1858,5 ათ. ლარი, ათვისებულია 1752,6 ათ. ლარი.

- **01 02 01 სარეზერვო ფონდი** - ათვისებულია 14,5 ათ. ლარი, აქედან:

  - ✓ ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 3021 ლარი;
  - ✓ მბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა''-ში გადატანილი იქნა 955 ლარი;

- ✓ სოფელ სადმელში მდებარე მთავარი წყალსადენის დაზიანებული მაგისტრალის აღსადგენად - 10498 ლარი;

პრიორიტეტი - 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება სულ შესრულებულია 66 %-ით. გეგმიური 9360,5 ათ.ლარი, ათვისებულია 6179,2 ათ. ლარი.

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
სულ შესრულებულია 73 %-ით. გეგმიური 4384,6 ათ.ლარი, ათვისებულია 3216,3 ათ. ლარი. აქედან:

- **02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება** შესრულებულია 81 %-ით. გეგმიური 453,1 ათ.ლარი, ათვისებულია 367,6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტის 27 სოფელში, შეკეთებული იქნა დაახლოებით 150 კილომეტრამდე გზა. სტიქიური პროცესების გამო რამდენჯერმე მოხდა ერთიდაიგივე სოფელში შესვლა. სამუშაობის წარმოება მიმდინარეობს სოფლების საჭიროებებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესაბამისად.

- **02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება** შესრულებულია 72 %-ით. გეგმიური 3931,5 ათ.ლარი, ათვისებულია 2848,6 ათ. ლარი.

საანგარიშო პრიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ სოფელ ღვიარაში სასოფლო გზის რეაბილიტაციის პირველი რიგი(პროექტი მიმდინარეა);
- ✓ სოფელ ზნაკვაში სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი - მოეწყო 1,3 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ ზედა ღვარდიის სასოფლო გზების რეაბილიტაცია პირველი რიგი - რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 0,9 კმ მონაკვეთს;
- ✓ სოფელ სადმელში სასოფლო გზის რეაბილიტაცია მესამე ეტაპი;
- ✓ სოფელ კვაცხუთში ეკლესიასა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 1,0 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ ბოსტანაში საელიოს სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 0,86 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ ხიმშში ჭიჭინაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 1,62 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ ბოსტანაში მე-6 ქუჩის რეაბილიტაცია - მოეწყო 0,487 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ მეორე ტოლაში სკოლის უბანის გზის რეაბილიტაცია - 0,755 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის ჩიხის (მოედანთან მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის სამუშაოები - მოწყო 0,12 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფ. ნიკორწმინდაში დოხნაძეების უბანში სასოფლო გზის ასფალტირების სამუშაოები მეორე რიგი (პროექტი მიმდინარეა);
- ✓ სოფელ თხმორის სასოფლო გზის მდ.შარეულასთან ქანობიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები (პროექტი მიმდინარეა);
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს (წესიგორის დასახლების) საუბნო გზების რეაბილიტაცია (პროექტი მიმდინარეა);

02 02 წყლის სისტემების განვითარება
სულ შესრულებულია 57 %-ით. გეგმიური 602.0 ათ.ლარი, ათვისებულია 344,8 ათ. ლარი.
აქედან:

- **02 02 01 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 262,1 ათ.ლარი, ათვისებულია 238,0 ათ. ლარი. მათ შორის:

- **02 02 01 01 წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი** შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 37,7 ათ.ლარი, ათვისებულია 35,1 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყლის სატუმბი სისტემების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯი.

- **02 02 01 02 წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 224,4 ათ.ლარი, ათვისებულია 202,8 ათ. ლარი.

  პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე არსებული წყლის ცენტრალური მაგისტრალების წერტილოვანი შეკეთება. სოფლების წყალმომარაგების სისტემის ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელის საერთო სიგრძე აღემატება 410 კმ. საანაგარიშო პერიოდში თითქმის ყოველდღიურად ახორციელებდა სამსახური სხვადასხვა სოფლებში წყალსადენის ქსელის აღდგენით სამუშაოებს. პეროდულად ა(ა)იპ ახდენს წყლის მაგისტრალების შემოვლა-შემოწმებას. საანაგრიშო პერიოდში მოხდა 194 დაზიანების აღდგენა.

- **02 02 02 წყლის სისტემების რეაბილიტაცია** შესრულებულია 31 %-ით. გეგმიური 339,9 ათ.ლარი, ათვისებულია 106,8 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:
  - ✓ სოფ.ურავში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გორისუბნში ხრაკელების უბნის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებ;

განმარტება: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში წყალმომარაგების სისტემის არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია - კლიმატური პირობების გათვალისწინებით ტენდერი გამოცხადდა მაისის თვეში, შესაბამისად, პროექტი მიმდინარეა, სამუშაოების დასრულების ვადაა სექტემბერი;

02 03 „გარე განათება“ სულ შესრულებულია 81 %-ით. გეგმიური 505,4 ათ.ლარი, ათვისებულია 407,9 ათ. ლარი.
მათ შორის:
02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 435,4 ათ.ლარი, ათვისებულია 407,9 ათ. ლარი.

მათ შორის:

- **02 03 01 01 გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება** შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 200,0 ათ.ლარი, ათვისებულია 196,5 ათ. ლარი.

- **02 03 01 02 გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 215,4 ათ.ლარი, ათვისებულია 211,4 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია 6320 ერთეული სანათი წერტილი, გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის სამსახური ახდენს მწყობრიდან გამოსული სანათი მოწყობილობების შეცვლას; ამორტიზებული და დაზიანებული ელ.ბოძების ახლით ჩანაცვლებას; დაზიანებული ელ. სადენების შეცვლას.

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა და ახლით ჩანაცვლდა შემდეგი სახის მოწყობილობები და მასალები: ნათურა სხვადასხვა 1152 ცალი, სანათი მოწყობილობები 348 ცალი, პროჟექტორი 32 ცალი, ახლით შეიცვალა 6670 მეტრი ელ.სადენი, შეიცვალა სხვადასხვა ჩამრთველები 121 ცალი, ფოტორელე 42 ცალი. ახლით შეიცვალა 10 ელ.ბოძი და შეკეთდა 18 ცალი დაზიანებული ბოძი.

- **02 04 „სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია“** შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 675,5 ათ. ლარი. ათვისებულია 643,1 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ჩორჯოსა და სოფელ ხვანჭკარაში ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები.

- **02 06 „კეთილმოწყობის ღონისძიებები“** შესრულებულია 52%-ით. გეგმიური 2073,1 ათ. ლარი, ათვისებულია 1076,4 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტებია:
  - ✓ ქ.ამბროლაურში მდ.კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-კულტურული და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა - პროექტი მიმდინარეა;
  - ✓ ქ.ამბროლაურში დავით აღმაშენებლისა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებზე ღობეების მოწყობის სამუშაოები - პროექტი მიმდინარეა;
  - ✓ სოფ.წესთან ბარაკონის ეკლესიის მიმდებარედ ქვაფენილის მოწყობის სამუსაოები (პროექტი დასრულებულია);
  - ✓ სოფ. წესთან ბარაკონის ეკლესიის მიმდებარედ მდ.რიონზე საფეხმავლო ხიდის მშენებლობის სამუშაოები - (ტენდერი არ შედგა რამდენჯერმე);

- **02 07 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“** შესრულებულია 0,09 %-ით. გეგმიური 504,5 ათ. ლარი, ათვისებულია 47,8 ათ. ლარი.

  განმარტება: მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი. გაფორმებულია 35 ხელშეკრულება.

- **02 09 რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება** შესრულებულია 52 %-ით. გეგმიური 225,0 ათ.ლარი, ათვისებულია 117,8 ათ. ლარი.

მიმდინარეობს პროექტირება შემდეგ პროექტებზე:

- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვავისა და სოფელ გორის წყალსადენის სამარაგო ავზების დამაკავშირებელი ხაზის მოწყობის სამუშაოებისა და სოფელ დიდ და პატარა ჩორჯოში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა- მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (ტენდერი გამოცხადებულია);
- ✓ სოფელ ველევში საუბნო წყალსადენის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (მიმდინარე ხელშეკრულება);

ასევე, პროგრამის ფარგლებში, თანხების გაცემა ხდება საზედამხედველო ორგანოს მიერ სამშენებლო სამუშაოებზე დადასტურებული შესრულების მიხედვით, რომლის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია.

02 10 სატრანსპორტო მომსახურება შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 331,1 ათ.ლარი, ათვისებულია 313,5 ათ. ლარი.

პროგრამიდან ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტი - 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 892,8 ათ.ლარი, ათვისებულია 789,1 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა** შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 782,1 ათ.ლარი, ათვისებულია 689,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად ახორციელებდა ქალაქის ქუჩების (71150 მ^2), ტროტუარების (15985 მ^2), გაზონებისა (6555მ^2) და სკვერების (19243 მ^2) დასუფთავებას; ასევე სუფთავდება ქალაქის ორი საზოგადოებრივი საპირფარეშო ყოველდღიურად. ქალაქ ამბროლაურის გარდა მუნიციპლაიტეტის 3 სოფელში (წესი, ნიკორწმინდა, ჭრებალო) ხორციელდება ცენტრალური მოედნებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავება. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია 736 კონტეინერი, მათ შორის ქ. ამბროლაურში 174 ც. და სოფლებში 562 ც. კონტეინერი. ქ. ამბროლაურში კონტეინერების დაცლა ხდება ყოველდღიურად (ზაფხულის თვეებში დღეში 2-ჯერ), ხოლო სოფლებში კვირაში 4–ჯერ, ზაფხულის პერიოდში კი კვირაში 6–ჯერ. საანგარიშო პერიოდში შეგროვებულია და ნაგავსაყრელზე გატანილია დაახლოებით 12100მ^3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

- **03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 80,8 ათ.ლარი, ათვისებულია 76,8 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელმაც საანაგრიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები: შემოიბარა ქალაქის ტერიტორიაზე ნერგები და მოხდა სასუქის მიცემა. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1595 ჰა ტყის მასივების დაცვითი სამუშაოები.

03 04 "უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები" შესრულებულია 27 %-ით. გეგმიური 9,9 ათ. ლარი. ათვისებულია 2,7 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 16 ერთეული მიუსაფარი ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა.

პრიორიტეტი - 04 00 განათლება შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 1242,2 ათ.ლარი, ათვისებულია 1186,3 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა** შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 869,0 ათ.ლარი, ათვისებულია 830,3 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი; ამბროლაურის საბავშვო ბაღშია 5 ასაკობრივი და ერთი შერეული ჯგუფი; სოფელ ჭრებალოს საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ორი ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით, სადაც სწავლება მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებული 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით.

- **04 03 განათლების ღონისძიებები** შესრულებულია 45 %-ით. გეგმიური 25,0 ათ. ლარი, ათვისებულია 11,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას; კულტურულ-გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკში დასვენებას. ასევე ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების დაფინანსება. საანგრიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 6 ერთეული პორტატული კომპიუტერის შეძენა, სოციალურად დაუცველ წარჩინებული მოსწავლეებზე გადასაცემად.

განმარტება: სოციალურად დაუცველი წარჩინებული მოსწავლეების ბანაკში დასვენების პროგრამა განხორციელდება მესამე კვარტალში, დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს მომსახურების შესყვიდვის პროცედურები.

04 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბიუჯეტი შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 123,1 ათ.ლარი, ათვისებულია 119,8 ათ. ლარი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების წრეები: - გერმანული ენის, ინგლისური ენისა და რუსული ენის შემსწავლელი წრეები; ზოგადი უნარების შემსწავლელი წრე, „გახანგრძლივებული“ წრის 2 ჯგუფი. სასწავლო წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 82-ს. დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება „მოაზროვნე“; პროექტ „ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას“ ფარგლებში გაიმართა პოეტ გიორგი არაბულის შემოქმედებითი საღამო „სიმართლეს ზეცაზე გავაფენ“. ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა 09 აპრილისა და 14 აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ასევე განხორციელდა ბავშთა დაცვის დღისადმი მიძღნილი ღონისძიება. პროექტის „ძველი დიდების ნაკვალევზე“ ფარგლებში ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა იმოგზაურეს თურქეთში.

- **04 05 საჯარო სკოლების ხელშეწყობა** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 225,0 ათ.ლარი, ათვისებულია 225,0 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება. პროგრამაში ჩართულია 16 სკოლის 229 მოსწავლე. მომსახურება ხორციელდება 82 მარშრუტზე (სერვისს უზრუნველყოფს 31 სატრანსპორტო საშუალება).

პრიორიტეტი - 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 2492,5 ათ.ლარი, ათვისებულია 2234,6 ათ. ლარი.

პროგრამები:

05 01 სპორტის სფეროს განვითარება. შესრულებულია 87 %-ით. გეგმიური 770,9 ათ.ლარი, ათვისებულია 670,7 ათ. ლარი.

აქედან :

05 01 01 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა შესრულებულია 87 %-ით. გეგმიური 708,7 ათ.ლარი, ათვისებულია 613,6 ათ. ლარი.

- **05 01 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა** შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 238,6 ათ.ლარი, ათვისებულია 223,4 ათ. ლარი.

სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტის სახეობები:

- ✓ კალათბურთი;
- ✓ ფრენბურთი;
- ✓ ჭადრაკი;
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი;
- ✓ კარატე;
- ✓ ჩოხიანი ჭიდაობა;
- ✓ მშვილდოსნობა;

ზემოთ დასახელებულ სპორტულ სახეობებში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 200 ბავშვს. საანგარიშო პერიოდში მაგიდის ჩოგბურთის გუნდს ჰქონდა გასვლითი ღონისძიება ქ. თბილისში ღია პირველობაზე, სადაც მოიპოვეს ერთი მე-3 და ერთი მე-4 ადგილი. „თორნიკე ღოღობერიძის თასის გათამაშებაზე“ სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 3 ბრინჯაოს მედალი ქ. ბათუმში „კარლო გუგუშვილი“-ს სახელობის ტურნირზე 6 ბავშვი საკვალიფიკაციო ჯგუფიდან გადავიდნენ მერვედ ფინალში.

სკოლის მოსწავლეები წარმატებებით ასპარეზობენ ჭადრაკის მიმართულებითაც. ქ. ქუთაისში ჩატარებულ ბავშვთა შორის საკვალიფიკაციო ტურნირზე ორი ბრინჯაოს მედალი, იმერეთის ღია პირველობაზე სამმა ბავშვმა შეასრულა მეოთხე თანრიგის დონე, ორმა მეხუთე თანრიგის დონე.

ქ. თბილისში ჩატარებულ ევრაზიის თასის გათამაშებაში „კუნგფუ“ სპორტ სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 9 პირველი ადგილი, 6 მეორე ადგილი და გუნდმა დაიკავა გუნდური პირველი ადგილი; ქ. თბილისში „საქართველოს ჩემპიონატი კუდოში 2024“ 3 პირველი ადგილი, 1 მეორე ადგილი და 4 მესამე ადგილი.

ქ. რომში გამართულ ევროპის კუდოს ჩემპიონატზე 2024 წლის ევროპის ჩემპიონი გახდა ორი სპორტსმენი.

ქ. ხაშურში ჩატარებულ „გიორგი მახარაშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში“; სკოლის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს.

ქ. ქობულეთში ჩატარებულ ღია პირველობაზე ფრენბურთში გოგონათა შორის სპორტ სკოლის გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი.

ჩატარდა ადგილობრივი ღონისძიებები: რაჭის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, სადაც სკოლამ მოიპოვა 2 მეორე და 4 მესამე ადგილი;

ქ. ამბროლაურში გამართულ საქართველოს ჩემპიონატი კუნგ-ფუ სანდაში სპორტ სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს 6 პირველი, 3 მეორე და 1 მესამე ადგილი.

რეგიონის ჭადრაკის პირველობაზე ასაკების მიხედვით 6 პირველი, 6 მეორე და 7 მესამე ადგილი მოიპოვა სპორტ სკოლის მოსწავლეებმა;

ტარიელ, კობა და დავით კობახიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა კალათბურთში, სადაც მონაწილეობდა საქართველოს 7 გუნდი ვაჟთა შორის.

- **05 01 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი"-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 76 %-ით. გეგმიური 163,7 ათ.ლარი, ათვისებულია 125,2 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჭიდაობის კლუბი ფალავანის სპორტსმენები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში. მათ მონაწილეობა მიიღეს 16 სხვადასხვა რანგის ღონისძიებაზე, მოიპოვეს 47 მედალი.

1. საქართველოს პირველობა - 5 ღონისძიება, სულ 17 მედალი.

მოპოვებული მედალი:

- ✓ I ადგილი - 5 მედალი.
- ✓ II ადგილი - 4 მედალი.
- ✓ III ადგილი - 8 მედალი.

2. რესპუბლიკური ტურნირი - 6 ღონისძიება, სულ 25 მედალი.

მოპოვებული მედალი:

- ✓ I ადგილი - 10 მედალი.
- ✓ II ადგილი - 5 მედალი.
- ✓ III ადგილი - 10 მედალი.

3. საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი - 2 ღონისძიება, სულ 4 მედალი.

მოპოვებული მედალი:

- ✓ II ადგილი - 4 მედალი.

4. ევროპის პირველობა - 1 ღონისძიება, სულ 1 მედალი.

მოპოვებული მედალი:

- ✓ III ადგილი - 1 მედალი.

5. ოლიმპიური სალიცენზიო ტურნირი - 2 ღონისძიება, 1 ლიცენზია.

- ✓ მოპოვებულია ერთი ლიცენზია 86 კგ. წონით კატეგორიაში.

- **05 01 01 03 ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 103,4 ათ.ლარი, ათვისებულია 103,3 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საცურაო აუზში განხორციელდა სანიტარული და მცირე სარემონტო სამუშაოები; მოხდა აუზის წყლის დაცლა-ავსება, გაწმენდა, გათბობა და დამუშავება წყლის საწმენდი ქიმიკატებით; მთლიანად შეიცვალა ელ. ენერგიით მომარაგების სისტემა; გარემონტდა ერთი ფილტრი და ბოილერი.

აუზი მოემსახურა 125 მოსწავლეს, 22 ამონემენტის მფლობელს; 25 ერთჯერად შემომსვლელს და 20 კალათბურთელს (ერთჯერადი), ერთს მოემსახურა მასაჟისტი.

- **05 01 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა"-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 88%-ით. გეგმიური 128,0 ათ.ლარი, ათვისებულია 113,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების საწვრთნელი პროცესები, შეირჩა ჩემპიონატში გამსვლელი ასაკობრივი გუნდები, დაკომპლექტდა ასაკობრივი ნაკრებები. აქტიურად მიმდინარეობდა ამბროლაურში და სოფელ ჭრებალოში

საწვრთნელი პროცესები, გაზრდილია ბავშვთა რაოდენობა. ვარჯიშები განაახლა დინამოს აკადემიის მემორანდუმის ფარგლებში მომუშავე ასაკობრივმა გუნდმა, რომელიც აკადემიის პროგრამით გადის საწვრთნელ ვარჯიშებს. ასაკობრივმა გუნდებმა გამართეს 16 წინა სასეზონო ამხანაგური შეხვედრები, სხვადასხვა გუნდებთან, შეხვედრები ამბროლაურში გაიმართა.

- ✓ **05 01 01 05 ა(ა)იპ რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“** გეგმა შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 25,0 ათ.ლარი, ათვისებულია 25,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში სარაგბო კლუბმა „ამარანტები“ ქ. ფოთში, ჩოხატაურში, ქ. ზუგდიდში, ქ. ქუთაისში და ონში ჩაატარა სარაგბო ფესტივალები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ რეგიონში მცხოვრები ბავშვები.

- ➢ **05 01 02 კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში** შესრულებულია 92 %-ით. გეგმიური 62,2 ათ.ლარი, ათვისებულია 57,1 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სპორტული მოედნების მოწყობა სოფ. ლიხეთში, სოფ. ბოსტანაში, სოფ. აბანოეთსა და სოფ. ჩორჯოში.

05 02 კულტურის სფეროს განვითარება შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 1693,6 ათ.ლარი, ათვისებულია 1542,7 ათ. ლარი.
აქედან:

05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ბიუჯეტი შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 729,0 ათ.ლარი, ათვისებულია 664,5 ათ. ლარი.

- ➢ **0502 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრის** ბიუჯეტი შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 241,8 ათ.ლარი, ათვისებულია 219,5 ათ. ლარი.

  საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში:

- ✓ კონცერტი - „მინდა გიმღერო“;
- ✓ საბავშვო თეატრის გასტროლი ქ. თბილისში მოზარდ-მაყურებელთა თეატრში, სპექტაკლით „სხვისი ორმოს მთხრელმა, თავისი მოთხარაო“
- ✓ ანსამბლ "იავნანას'' კონცერტი;
- ✓ ანსამბლ „საგალობლის“ საანგარიშო კონცერტი;
- ✓ ანსამბლ „საგალობლის“ სოლო კონცერტი ფოლკლორის ცენტრში;
- ✓ თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრემიერა - „მელაკუდას თავგადასავალი“;
- ✓ ბენდი „ART NEW LIFE”-ს სოლო კონცერტი;
- ✓ კულტურის ცნტრის შემოქმედებითმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში;
- ✓ საბავშვო თეატრის გასტროლი ცაგერში -„სხვისი ორმოს მთხრელმა, თავისი მოთხარაო“;
- ✓ მოსწავლეთა თეატრი - სპექტაკლის პრემიერა „სათაგური“ და გასტროლი ონში - სათაგური“;
- ✓ თეატრალური დასის სპექტაკლის პრემიერა „ბუტიაობა“;
- ✓ თეატრალური დასის გასტროლი თელავში - სპექტაკლი „ბუტიაობა“;

- ✓ ანსამბლ „საგალობლის“ კონცერტი საფრანგეთში;

საბიბლიოთეკო სამსახური საანაგრიშო პერიოდში მოემსახურა 800 მკითხველს, გაიცა 3400 ცალი წიგნი; გასცა წერილობითი და ზეპირი ცნობები: გურამ დოჩანაშვილის ცხოვრება და შემოქმედება; საქართველოს ღირსეული მაულისშვილები - ქაქუჩა ჩოლოყაშვილი; მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატები; ძველი თბილისის არქიტექტურა; უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში; მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკები; ქართული ანბანის წარმოშობა.

საბიბლიოთეკო სამსახურმა მოაწყო პოეტ ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნის საღამო; წიგნის კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ჰაგიოგრაფია და მისი სწავლების მნიშვნელობა სკოლაში; პოეზიის საღამო „დაუკარით რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად რომ ცხოვრებამ ვერასოდეს დაგვაბეროს“; მოეწყო წიგნის პრეზენტაცია „ჩემი კრიალოსანი“; გურამ ფანჯიკიძის 91 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საბიბლიოტეკო კვირეულის გახსნა; მოეწყო ახალი წიგნების პრეზენტაცია; სასოფლო ბიბლიოთეკებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: „მუხრანი და საქართველო (პატარა ონი და ღადიშის სასოფლო ბიბლიოთეკა); „ეს დღე ჩემია“ (ჟოშხის ბიბლიოთეკა); „სოფელო ჩემო სოფელო“ (ველევის სასოფლო ბიბლიოთეკა); „ენა, მამული, სარწმუნოება“ (ხვანჭკარა, პირველი და მეორე ტოლის სასოფლო ბიბლიოთეკები); „20 საუკუნის პოეზია 21-ე საუკუნის ბავშვებში“ (აბანოეთის, ბუგეულის, სადმელის, ჩორჯოს სასოფლო ბიბლიოთეკები); „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ (წესისა და ხიდიკრის სასოფლო ბიბლიოთეკები); „ლუხუნის ხეობის ადათწესები და წარმოშობა“ (ლიხეთის და აბარის სასოფლო ბიბლიოთეკები); „გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი“ (ყვიშის, ქვიშარის, ჭრებალოს სასოფლო ბიბლიოთეკები);

საბავშვო ბიბლიოთეკაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

,,მშვიდობა და სიყვარული მზის კოცონად ენთოს მარად“

,,წიგნი თავისუფლებაა, კითხვა კი ბედნიერება“

,,დედის თვალებში მზე არის“;

„პაწია წიგნი ბედ-იღბლით კიდობანს გამოემგზავნა“.

„დედა ენა - ამ წიგნშია ნატვრისთვალი საპოვნელი“.

„ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვად, ვედრებად“.

„მინდა გაიზარდოთ ყველა სასახელო, ჩემო პატარებო, ჩემო ლამაზებო“;

„მწერლების მწერალი“ - ჯემალ ქარჩხაძე;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი, აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა-პატრონობის ფარგლებში, ფიქსაცია-აღრიცხვის მიზნით მიმდინარე წელს მოეწყო გასვლები სხვადასვა სოფლებში:

- სოფ. ქვემო კრიხში დაფიქსირებული იქნა წმინდა გიორგის ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობა;
- სოფ. სხვავაში არსებული ღირსშესანიშნაობები იქნა მონახულებული და აღბეჭდილი;
- სოფ. ნიკორწმინდაში საკათედრო ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დათვალიერება, დაფიქსირება;
- სოფ. ხიმშში წმ. გიორგის ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირება, არქეოლოგიური მასალების მოძიება;
- სოფ. ღვიარაში წმინდა თევდორეს ეკლესიის დათვალიერება სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად, ერთობლივი გასვლითი სამუშაო დღე.

- **05 02 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ამბროლაურის სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ბიუჯეტი** შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 118,1 ათ.ლარი, ათვისებულია 107,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელოვნებო სკოლა ახორციელებდა და ჩართული იყო სხვადასხვა ღონისძიებებში. სკოლაში ირიცხება 325-მდე მოსწავლე. სკოლის ქორეოგრაფიულმა და საესტრადო ანსამბლებმა „თი-ემ-სი“ მონაწილეობა მიიღეს კულტურის სახლში გამართულ სარვამარტო-საგაზაფხულო კონცერტში „ტკბილი ჰანგები“. ხელოვნების სკოლა მიწვეული იყო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე “მშვიდობა მსოფლიოს“, რომელიც განხორციელდა ქ. თბილისში, საკონცერტო დარბაზში „მუზა“. სკოლამ ფესტივალზე მიიღო ჯილდო - საზღვარგარეთის საგზური. ქ. ქუთაისში ჩატარდა რეგიონალური მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები“ შესარჩევი ტური. ჩვენი სკოლიდან მონაწილეობდა: საფორტეპიანო, ხალხურ საკრავთა, ვაჟთა ვოკალური ანსამბლები და საესტრადო ვოკალური ჯგუფები. ხაშურის სამუსიკო სკოლაში გაიმართულ გალა კონცერტზე დაჯილდოვდა „მომავლის ვარსკვლავებში“ გამარჯვებული ხალხურ საკრავთა ორკესტრი „საპოვნელა“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მრავალძალი“ პირველი ადგილის დიპლომებით; საერთაშორისო ფესტივალზე „საირმე-2024“ მონაწილეობდა ხალხ/საკრავთა ორკესტრი „საპოვნელა“; ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი“ მიწვეული იყო თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე; სკოლამ წარმატებით პროექტი მოზარდთა მრავალჟანრობრივი ფესტივალი „სახიობა რაჭაში-2024“; ხალხურ საკრავთა ანსამბლი „საპოვნელა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი“ მიწვეული იყო ერევანში, კონკურს-ფესტივალზე; ქ. ამბროლაურის კულტურის სახლში გაიმართა ფოლკლორული ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „თი-ემ-სი“ საშუალო თაობა და საესტრადო ვოკალურმა ამსამბლმა „თი-ემ-სი“. ზღვის კონკურს-ფესტივალში „ჰარირა“, რომელიც გაიმართა ქობულეთში, ქორეოგრაფიული ანსამბლისა და საესტრადო ანსამბლის პატარა დებიუტანტებმა პირველი ადგილი მოიპოვეს.

- **05 02 01 03 ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულებაამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა**

შესრულებულია 86 %-ით. გეგმიური 57,7 ათ.ლარი, ათვისებულია 49,5 ათ. ლარი.

სამხატვრო სკოლაში ირიცხება 84 მოსწავლე. სახვითი ხელოვნების ჯგუფებში 45 ბავშვია; ხოლო გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფებში 39.

სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა სასწავლო პროგრამის მიხედვით დაგეგმილი გამოფენა, რომელშიც ერთობლივად,საკუთარი ნამუშევრებით მონაწილეობა მიიღეს სკოლის ორივე განყოფილების წარჩინებულმა მოსწავლეებმა. ასევე ჩატარდა ტრადიციული ,,შიდა საკლასო“გამოფენა. ს ქ.თბილისში ნათელა იამქოშვილის სახელობის მუზეუმში, გაიხსნა გამოფენა ,,პორტრეტი თანამედროვე მხატვართა შემოქმედებაში“, რომელშიც საკუთარი ნამუშევრით მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის სახვითი ხელოვნების პედაგოგმა. სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა ,,საგაზაფხულო“ სახის გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, სახვითი ხელოვნების ყველა ჯგუფის მოსწავლე-პედაგოგმა საკუთარი ნამუშევრებით. სკოლის სალონურ გარემოში მოეწყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების, წარჩინებული მოსწავლეების ნამუშევრების შერეული სახის გამოფენა.

- **05 02 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიუჯეტი** შესრულებულია 80 %-ით. გეგმიური 50,1 ათ.ლარი, ათვისებულია 40,2 ათ. ლარი.

მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 872 ექსპონატი. 606 ექსპონატი სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ხოლო 266 - აბარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეექსპოზიცია.
- ✓ ქართული თეატრის დღე, 14 იანვარი, თეატრისა და კინოს მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.
- ✓ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. (მთელი წლის განმავლობაში).
- ✓ საგაზაფხულო გამოფენა;
- ✓ ონის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა;
- ✓ სოცრეალიზმი და თანამედროვეობა;
- ✓ გამოყენებითი ხელოვნება - თექა;
- ✓ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

- **05 02 02 „კულტურის ღონისძიებები“ პროგრამის ბიუჯეტი** შესრულებულია 18 %-ით. გეგმიური 45,0 ათ.ლარი, ათვისებულია 8,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთადაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველი“-ს პროგრამა და ორ პიროვნებაზე გაიცა ფულადი ჯილდო.

განმარტება: დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სპორტსმენების დაჯილდობა განხორციელდება მესამე კვარტალში.

- **05 02 03 “კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში“** შესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 738,7 ათ.ლარი, ათვისებულია 722,4 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ამბროლაურში მ. კოსტავას ქუჩა N36-ში მდებარე ყოფილი კინოს შენობის შესყიდვა.

- **05 02 04 “რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 50,0 ათ.ლარი, ათვისებულია 50,0 ათ. ლარი.

  ნიკორწმინდის ეპარქიაში შემავალი ეკლესია მონასტრების რეაბილიტაციისათვის.

- **05 02 05 გაზეთის მომსახურების დაფინანსება** შესრულებულია 53 %-ით. გეგმიური 7,5 ათ.ლარი, ათვისებულია 4,0 ლარი.

  პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“-ს ბეჭდვა. საანგარიშო პერიოდში მოხდა 400 ერთეული გაზეთის დაბეჭდვა.

- **05 02 06 ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი** შესრულებულია 76 %-ით. გეგმიური 123,4 ათ.ლარი, ათვისებულია 93,5 ათ. ლარი.

  ტურისტული ცენტრის ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების, კვებისა და განთავსების ობიექტების, ასევე ტურისტული ცენტრის წარმომადგენელთა დასწრება სხვადასხვა სახის ტრენინგებზე, რომელიც დაგეგმილი იყო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. გამხორციელდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საფეხმავლო ბილიკების შემოვლა; მოხდა ბილიკების მონიტორინგი: მარკირებების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; ბილიკების წმენდა, მარკირებების განახლება. ტურისტულმა ცენტრმა მოახდინა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შემდეგი საფეხმავლო ბილიკების (სადმელი- რიცეულის, ზემო კრიხის, ჭელიში-ნიკორწმინდის, ზნაკვის ჩანჩქერების, წესი- ველიეთის, საკიშორე-კიდობანას, სხარტალი- ხოტევის და ქვაბთკრის („სიყვარულის ჩანჩქერი“, „პატარძლის ჩანჩქერი“) რეაბილიტაცია-წმენდა. აღნიშნული ბილიკებისათვის, ტურისტულმა ცენტრმა განაახლა დაზიანებული დაფა-ნიშნულები, დამონტაჟდა 34 ისრისებური მანიშნებელი, რომელზეც მითითებულია ბილიკის დასაფარი დრო და მანძილი. აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ ამბროლაურსა და უშუალოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების (განთავსების/ კვების ობიექტები, მარნები) შემოვლა, ცენტრში არსებულ ბაზას დაემატა 10 ახალი ობიექტი. ამჟამად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირებულია ჯამში - 150 სასტუმრო და საოჯახო ტიპის სასტუმრო. 34 ღვინის მარანი. ამბროლაურის ტურისტულმა ცენტრმა 2024 წლის იანვრიდან დღემდე 733 ვიზიტორს გაუწია საინფორმაციო მომსახურება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ცენტრში ვიზიტის გარდა,სატელეფონო თუ ონლაინ კავშირის მეშვეობით, აქტიურად ხდება ტურისტების მიერ ინფორმაციის მოთხოვნა და ცენტრის თანამშრომლები, უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობას.

- **05 03 „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 44 %-ით. გეგმიური 9,0 ათ.ლარი, ათვისებულია 4,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული უნიფორმების შეძენა და ჯილდოების გაცემა.

პრიორიტეტი - 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

შესრულებულია 73 %-ით. გეგმიური6 669,5 ათ.ლარი, ათვისებულია 491,9 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **06 01 ჯანმრთელობის დაცვა** შესრულებულია 66 %-ით. გეგმიური 290,9 ათ.ლარი, ათვისებულია 190,9 ათ. ლარი.

- **06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 73 %-ით. გეგმიური 669,5 ათ.ლარი, ათვისებულია 491,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორცილებელია ა(ა)იპ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

დაწესებულებაში შესულია 84 სასწრაფო შეტყობინების ბარათი ცხოველების მიერ დაკბენილებისა და დადორბლილების შესახებ, ყველა შეტყობინება გადეცა სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს, დამკბენ ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დასამყარებლად, დაკბენილ პაციენტებს ჩაუტარდათ ვაქცინაციის სხვადასხვა კურსი, რისთვისაც ჯანდაცვის ცენტრმა გასცა შესაბამისი დოზა ანტირაბული ვაქცინა;

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული იქნა შემდეგი ინფექციური დაავადებები: სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა - 48; სავარაუდო საკვებისმიერი წარმოშობის დიარეა - 14; ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია - 54; ბოროლიოზი - 5; ქუნთრუშა -13; ჩუტყვავილა -27; აცრის შემდგომი უჩვეულო გართულებები -1; ტუბერკულოზი - 3; აივ შიდსზე ტესტირებული -99;

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პროფილაქტიკური აცრები: პნევმოკოკური -35; ტდ-15; ფექსაქსიმი-29; აპვ - 17; ბცჟ 15; ჰეპატიტები ბ -16; როტა - 27; ტეტრაქსიმი -27; წწყ-28;

პერიოდულად საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ტარდება მონიტორინგი პროფილაქტიკური აცრების დროულად ჩატარების აუცილებლობაზე, ჰიგიენის წესების დაცვაზე.

- **06 01 03 ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 71 %-ით. გეგმიური 23,0 ათ.ლარი, ათვისებულია 16,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა და დაფინანსება გაეწია 60 მოქალაქეს.

- **06 01 04 ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსება / თანადაფინანსება** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 65,0 ათ.ლარი, ათვისებულია 65,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა და დაფინანსება გაეწია 68 მოქალაქეს.

- **06 01 06 ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 54 %-ით. გეგმიური 30,9 ათ.ლარი, ათვისებულია 16,6 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა და დაფინანსება გაეწია 44 მოქალაქეს.

- **06 01 07 ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 47 %-ით. გეგმიური 80,0 ათ.ლარი, ათვისებულია 37,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში 53 მოქალაქეს გაეწია შესაბამისი დაფინანსება.

06 02 სოციალური დაცვა შესრულებულია 79 %-ით. გეგმიური 378,6 ათ.ლარი, ათვისებულია 300,9 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **06 02 01 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 70 %-ით. გეგმიური 25,7 ათ.ლარი, ათვისებულია 17,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში ყოველდღიური უფასო კვების პროგრამით ისარგებლა 25 ბენეფიციარმა; სააღდგომო და საახალწლო სასურსათო პაკეტები გადაეცა 75 ბენეფიციარს.

- **06 02 02 ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებული 97 %-ით. გეგმიური 24,0 ათ.ლარი, ათვისებულია 23,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში ახალშობილთა ერთჯერადი დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 34 ბენეფიციარმა; ახლადშექმნილი ოჯახების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწია 5 ბენეფიციარს.

- **06 02 03 „მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 1,0 ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

- **06 02 04„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე დღის ცენტრის – „ბაო“ თანადაფინანსება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 66 %-ით. გეგმიური 119,9 ათ.ლარი, ათვისებულია 78,6 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 100 ბენეფიციარმა.

- **06 02 05„ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება“ პროგრამის ბიუჯეტი** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 30,0 ათ.ლარი, ათვისებულია 30,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა.

- **06 02 06 სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება“** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 99 %-ით. გეგმიური 75,0 ათ.ლარი, ათვისებულია 74,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება გაეწია 130 მრავალშვილიან ოჯახს.

- **06 02 07 მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება** -შესრულებულია 79 %-ით. გეგმიური 23,0 ათ.ლარი, ათვისებულია 18,2ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება გაეწია 31 მარჩენალდაკარგულ ოჯახს.

- **06 02 08„უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა“**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 67 %-ით. გეგმიური 21,4 ათ.ლარი, ათვისებულია 14,3 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მხრიდან, 10 ბენეფიციარია უზრუნველყოფილი ყოველთვიური ბინის ქირით.

- **06 02 09„მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 5,6 ათ.ლარი, ათვისებულია 5,1 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. პროგრამის ფარგლებში 17 მარტოხელა მშობელს გაეწია ერთჯერადი დაფინანსება.

- **06 02 10„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 75 %-ით. გეგმიური 15,0 ათ.ლარი, ათვისებულია 11,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.დაფინანსება გაეწია 56 ომის და სამხედრო ძალების ვეტერანს.

- **06 02 11„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება“** შესრულებულია 1 %-ით. გეგმიური 10,0 ათ. ლარი, ათვისებულია 0,9 ლარი. საანგარიშო პერიოდში ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 3 ბენეფიციარზე.

- **06 02 13 ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის** ბიუჯეტი შესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 28,0 ათ. ლარი; ათვისებულია 27,5 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწია სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ 50 ბენეფიციარს (23 ოჯახში), ხოლო მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 2 ოჯახს (4 ბავშვი).

ნაშთის ცვლილება:

ნაშთმა 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 582,7 ათ. ლარი.